

თავისუფალი საქართველო

მედიის საზოგადოებრივი პოლიტიკური გაზეთი

მრავალი მაგიდის საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი

№ 2 (7)

26 | 1991

ყველანაირი აზრი უნდა არსებობდეს

9 აპრილი და 20 იანვარი — 13 იანვარი. დროს იმ მონაკვეთში, რომელიც ქალაქში დღეობით აღინიშნება, გორბაჩოვს ნობელის პრემია უბოძეს. ავანსად? თუ იმის მისანიშნებლად, შენთან რაც გინდა აკეთე, ოღონდ ჩვენთან იმეგობრეთ.

უზენაესი თვალის დახუჭვა უფრო დიდ უზენაობას შობს. ერთის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე წაყრუება არ შეიძლება უბედურებად არ მოუბრუნდეს სხვებსაც. ეს კეშმარიტება უკვე ბანალურ ფრაზად იქცა, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ზოგად კეშმარიტებას აცდენილი სამყარო, თუნდაც ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე ასული, განწირულია.

საზოგადოების გარკვეულ ფენებში აღრეც და ახლაც ხშირად გაიგონებთ ქართველი ხალხის მისამართით ნასროლ სიტყვებს: „ბნელი“, „კუჭყიანი“, „ავადმყოფი“. იმათ ამრეზილ სახეებსაც დაინახავთ, ვინც ამ ეპითეტების მოხმობით „აღამაღლებენ“ საკუთარ პერსონას. ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ ამას გაუბედურებულ, მაგრამ არა ღირსებადაკარგულ ხალხზე ამბობთ. ახლა გაიხსენეთ სუფთა, ჯანსაღი ადამიანები, ნათელი სახეებით რომ დადიან ევროპის სხვადასხვა ქალაქების ქუჩებსა და მოედნებზე და ხმაშეწყობილდ ქურტულობენ — გორბი! რაია!... თუმცა, ნება თქვენია.

გაიხსენეთ, 9 აპრილის მერე ჩვენთან რამდენი იყო ისეთი, ვინც მოგვიწოდებდა გაჩუქდით და გაიხსენეთ, თორემ უარსი მოგვივარა, მაშინდელ ჯალათებს ოფიციალურ წერილებში „პერსტროიკის მტრებად“ მოიხსენიებდნენ და ამას დიპლომატიად და პოლიტიკურ შორსმკვრეტელობად სახავდნენ. სასიამოვნოა, რომ დღეს შეუცვლიათ პოზიცია და ახლა ყველა ქართველ ქურნალისტს მოუწოდებენ მთელ მოსოფლიოს მოსდონ ბალტიისპირეთის ამბავი, ვისაც სად მიუწვდება ხმა.

ძნელი სათქმელია მომავალში როგორ იმოქმედებს კრემლი საქართველოს მიმართ, ტანკით, ბლოკადით, თუ კიდევ სხვა ხერხებით, მაგრამ ერთი კა ცხადია — ძალთა პოლარიზაცია მშვენიერ ნიადავს უმზადებს იმპერიულ ზრახვებს საქართველოში. ეს ლიტონი სიტყვები არ არის. რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა გამიზნული პროვოკაცია, იმ დემონსტრაცია-პარადს, რაც 18 იანვარს მ. კოსტავას ქუჩის მონაკვეთზე, ფილარმონიას და გმირთა მოედანს შორის მოეწყო? ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული თვრამეტ-ცხრამეტი წლის ყმაწვილებს ქუჩა-ქუჩად გადაკეტო, მაგრამ რა მიზნით, ეს მათ არ იცოდნენ. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ დგანან ქუჩაში, თოფებით ხელში, გვიპასუხეს (უნდა აღინიშნოს, რომ ერთობ

ზრდილობიანად): ვილაცას ველოდებით და „საცობი“ რომ არ წარმოიშვასო (!!) მოგვიანებით მათ დამალეს იარაღი, მაშინ იქვე მდგომ ინსპექტორს მივმართეთ იმავე კითხვით, გვიპასუხა — საპროტესტო აქციაა, განიარაღებას მოითხოვდნო (!!!!)

რა ჰქვია ამას? ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ვისი ცხოვრების დემოკრატიული წესიც ასე გვხვდება, ამას ერთი კვადრატული აქცია — ცინიზმი და ბანდიტიზმი.

ე. წ. ეროვნული ხსნის კომიტეტი, კრემლის საყრდენი ლიტვაში, ლანდსბერგისის ხელისუფლებას ფაშისტურს უწოდებს, სხვაგვარად აზროვნების ყოველგვარი გამოვლინების ჩახშობას სწამებს. როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ჩვენს თვითმართებულ ბრალდებებს. რატომ კისრულობთ ამ სამარცხვინო ფუნქციას?

მიტინგებზე ხშირად გამოდიან ახლადარჩეული ხელისუფლებისადმი ძალიან კრიტიკულად განწყობილი ადამიანები, აღშფოთებულები მთავრობის ამა თუ იმ ნაბიჯით. ეს ნორმალურია. ყველანაირი აზრი უნდა არსებობდეს. რაც შეეხება იარაღით დაპირისპირებას, ამას ყველა პოლიტიკურ ლეგისიმონში ერთი სახელი აქვს — ექსტრემიზმი და ყველა ქვეყანაში კანონით ისჯება.

რაც მოხდა საბჭოთა კავშირში, უკვე ასახულია რამდენიმე საუკუნის წინ „მეფე ლირში“, შვილებმა მიიღეს ბევრი რამ, მაგრამ ისეთი ამორალური აღზრდა ჰქონდათ მიღებული, რომ ამ თვალსაზრისით მამას გადააქარბეს.

„ტანიზი“, ძმები ლივინები, პოლიტიკური რეალობანი და ილუზიები“

მე-2 გვ.

საქართველო მთლიანად უნდა იყოს თავისუფალი ზონა და თავად უნდა ვარგულობთ კაპიტალის შემოსვლის პროცესი. ეს დაგვეხმარება, რაც შეიძლება მალე გამოვიდეთ ამუშაინდელი კრიზისიდან... უნდა დაჩქარდეს პრივატიზაციის პროცესი. ადამიანს შრომა უნდა აუნაზღაურდეს ისე, რომ მას ცხოვრება არ გაუჭირდეს.

„წინ თავისუფლება“

მე-3 გვ.


საქართველოს სსრკ-ში პირველ კაცად ყოფნის პერიოდში მან საკმაოდ ხმაშეწყობილი ორკესტრი შექმნა. თუმცა, ეს მხოლოდ მისი პირადი ღირსება არ არის — ტოტალიტარიზმი და კომუნისმი საერთოდ ხმაშეწყობილობით გამოირჩევა, ტკბილმზოვანებითაც.

თვითმფრინავის საქმეშიც ორკესტრის უღერადობას, მის რითმსა და ტემპს დირიჟორი განსაზღვრავდა — ეღუარდ შევარდნაძე.

„არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“

მე-4-5 გვ.

ნათლისღების დღე სიონში



არ არის შემთხვევითი, რომ ამ სამყაროში ვახშირდა საკუთარი სქესით დაუქმყოფილებლობის გაცდა, ამის დასტურია მრავალრიცხოვანი ოპერაციები სქესის გამოცვლის მიზნით.

„ორიოდ სიტყვა სექსუალურობის მოკალაების გავლა“

მე-6 გვ.

ჩვეულებრივად მზიარულ დასავლურ შობას და ახალ წელს თავისი ვეღვრის დაბლა დაამჩნია ერთადერთი მხარდინარე სადამურ-საქანურმა არა-დილომა. ევროპელებმა უცებ აღმოაჩინეს, რომ ათასწლეულის ცნობილი ზღაპრის პერსონაჟების მსგავსად, ცალკეულ ავანტიურისტ არაბებს ძალუძოთ დასავლეთის სეზამის მთავარი კომპონენტის — ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ხელში ჩაგდება. დასავლეთში დარწმუნებულნი არიან, რომ წლებადღობის წელი ისტორიის სახელმძღვანელოებში შევა, როგორც კეთილისა და ბოროტის მარადიული კილინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რაშიც ავანტიურ გულსხმობენ საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის მიმდინარე გადამწყვეტ გამბძობებს.

ამ საკითხის გარშემო დასავლეთში ამჟამად უამრავი მასალი იბეჭდება, რისი გაცნობა და გააზრება, ალბათ, შეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უცხოეთის გაზეთის მასალის გაცნობისას უნდა დასვას კითხვა, რამდენად სანდოა მის მიერ მოცემული ფაქტები და ანალიზი? ამიტომ შეძლებისდაგვარად საჭიროა ვიცოდეთ, რა რეპუტაცია აქვს კონკრეტულად აღებულ გამოცემას, ვინ არის მისი ავტორი ან რამდენად იმსახურებს იგი ნდობას.

დასავლეთში კლასიკურად არის შინაგულ 50-იან წლებში ამერიკელი შექმნის უაღრესად და ბრედის მიწვევით ჩატარებული სოციოლოგიური ანალიზი. აღმოჩნდა, რომ ამერიკულ რედაქციებში მისულ ჟურნალისტს რედაქციის ხელმძღვანელობა არ უტარებდა რაიმე ინსტრუქციას და საკუთარ პოლიტიკურ მიდრეკილებებს თავზე არ ახვევდა. ის, ვინც ახლოს აუღებდა რედაქტორთა პოლიტიკურ ასწრაფებებს და სათანადო მიმართულებით აფორმებდა მასალებს, სხვაგვარად შედარებით ყველაზე მეტი პატივით სარგებლობდა და წარმატებას აღწევდა. იგივე ვითარება უფრო ხშირად მაშინ იქნებოდა ხოლმე, როცა ჟურნალისტი აკრედიტებულია საზღვარგარეთის ქვეყანაში. თუკი გავაგებთ მასპინძელთა გულსინდელს და აღვვლით მოვლენებს ზედმიტარ კრიტიკის ქარცეცხლში არ გაატარებს, ამით მუშაობის უზიარტეს, კომფორტულ პირობებს შეიქმნის. მაგრამ ასეთი რამ დასავლეთის პრესისათვის სულ უფრო იშვიათობას წარმოადგენს და ამიტომ რაიმე განზოგადების გაკეთება არ იქნება სწორი, თუმცა არის გარკვეული გამოჩაქვლილები.

ამას წინათ მრავლისმეტყველო სათარის მქონე ინგლისური „ინდუენსის“ („დამოუკიდებელი“) ჟურნალისტი, მოსკოვში აკრედიტებული ცნობილი ჟურნალისტი ალექსანდრე მთავის რეპორტაჟში აშკარად ვიღაცის საამბოდ სექტემბრის თბილისი ახალ ბერიულად წარმოადგინა. სათაურთან დაწყებული („პანანონით მოკლული ქალაქი“) ბოლო აბზაცით დამთავრებული („ქვეყანა ბოროტი და დამოუკიდებლობისაკენ“) ყველაფერი მეტყველებს ავტორის არაკეთილანწყობაზე. მაგრამ ეს მინც ის შემთხვევაა, როცა რაიმე რეაგირების გაკეთებას, ალბათ, არ ექნებოდა დიდი აზრი. ამ ავტორმა უბრალოდ ტენდენციურად შეარჩია ფაქტები, მაგრამ აქ რაიმე დამახინჯებას ან რომელიმე პირობების შეუარაბებლობას ადგილი არ ჰქონია. ასეთ პირობებში რაიმე დემარშის გაკეთება უფრო წამგებიანი იქნებოდა, ვინაიდან ზოგიერთებს არადემოკრატიული ბრალდების საბაზს მისცემდა.

არც მთლად ჭეშნომენია იმის გაკეთება, რასაც ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ მიმართავენ ზოლმე დასავლეთში: „აღიფიცებთ“ არაკეთილანწყობილებაში შემჩნეული ჟურნალისტის პრესკონფერენციაზე მიწვევა, ინტერვიუების და შეხვედრების ჩატარების უპირატესობას აძლევენ ამასთანავე თავისი წყაროებიდან მეტონფორმაციას აწვდიან და ამით პრივილეგიურულ მდგომარეობას უქმნიან.

ალბათ, არ ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ დასავლური გაზეთებიდან საქართველოს, ბალტიისპირეთის და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის რეალუების შედარებით ყველაზე მაღალკვალიფიციურ და ობიექტურად ამსახველ გამოცემად ინგლისის უპირველესი და ყველაზე ავტორიტეტული გაზეთი „ტაიმსი“ მიიჩნევა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, საქართველოს, სერეთოდ, ამერიკელების

ის მოვლენები იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალეს რედაქციებში, რომ სპეციალურად მოავლინეს ჟურნალისტი ანატოლ ლივენი, რომელიც თბილისში გაივლის აკრედიტაციას, როგორც საკუთარი კორესპონდენტი და აქვე გახსნის გაზეთის წარმომადგენლობას. ეს უპერეკენდენტო ფაქტია ჩვენს ისტორიაში და შეიძლება ითქვას, რომ პირველმა ჩვენს გაზეთმა „ტაიმსმა“ გმცნო.

ანატოლ ლივენი მისი ჩამოსვლის პირველივე დღიდან გაეცანი. მან შეხვედრისას მიიხრა, რომ „ტაიმსის“ რედაქციაში მიხვდნენ, თუ რა ძნელი საქართველოში და ამერიკელების მომხდარი მოვლენების მოსკოვიდან ასახვა, რის გამოც ხშირად იქიდან მოსული ინფორმაცია დამახინჯებულია. ჩემი მხრიდან აღუთქვი, რომ მას აღმოუჩინენ ყოველგვარ დახმარებას. ჩემს ენთუზიაზმს ამარაგებდა

“ტაიმსი“, კმაში ლივენი, კოლიტიკური რეალობანი და ილუზიები

ის ფაქტ, რომ ვიცნობდი მის პუბლიცისტურ, წაკითხული. მქონდა მისი ობიექტური რეპორტაჟები ავღანეთიდან, პაკისტანიდან, ბალტიისპირეთიდან. იქვე ვუთარგმნე რამდენიმე ადგილი ჩემი სტატიიდან, სადაც შევხვდი იმის თაობაზე, თუ როგორ ასახავდა ინგლისის პრესა, ყრბოდ „ტაიმსი“, საქართველოს ამბებს და სადაც ლივენიც ფიქრობდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ეს სტატია არ დაბეჭდილა, ამიტომ მინდა მოვიყვანო ერთი ნაწყვეტი:

„ლივენიის თეორიის, გოლზუორთის გმირებისათვის, ინგლისელთა მრავალი თაობისათვის ინგლისური „ტაიმსი“ უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი გამოცემა. ეს იყო ინგლისური ცხოვრების ყიდის, ტრადიციების მქალაქებში გაზეთი, რომელმაც ასახა ინგლისური დემოკრატიის პირველი ნაბიჯები და ევროპაშიც ამ იდეების გავრცელებას ფართოდ შეუწყობდა ხელს. მეთვრამეტე საუკუნეში მისი მიერ მიღწეული საქარობის დონე — ზოგიერთ ასპექტში საბჭოთა პრესისათვის აქამდეც მიუღწევია. გაზეთი რულენებით უფროხილდება სამი საუკუნის მანძილზე ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით მხოლოდ მსოფლიო ავტორიტეტსა და პრესტიჟს. საგულსმბოთა ერთი ფაქტი — „ტაიმსი“ „გარდაიანათ“ შედარებით უფრო მეტ სიმამართას ამჟამინებს ლიტვისადმი, თუმცა მინც ზომიერებას იცავს. მრავლისმეტყველოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ გაზეთის ლიტვაში ჰყავს მივლინებული საკუთარი კორესპონდენტი ანატოლ ლივენი, რომელიც ინგლისელი მოქალაქეა, წარმომობით ბალტიისპირელია (მისი პაპა თავის დროზე დერპტის გამოქმული უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ) და აქვს გარკვეული ნოსტალგია წარსულისა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზშირად ნახულობს იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები. არაა შემთხვევითი, როცა ის წერს: ამჟამად რუსებიც ხვდებიან, თუ რა დიდი ზიანი მიყენა მათ კულტურას 1917 წლამდე არსებული განათლებული კლასების და მათ შორის არისტოკრატების დარბევამ. ბალტიისპირეთში, რელიგიურ საფუძველზე დაფუძნებული შრომის ეთიკა ირყვნება კომუნისტური იდეოლოგიის დაწოლის შედეგად. ამიტომ საჭიროა დროზე თავის შევლა და დამოუკიდებლობის მიღწევა“ (16 აპრილი, 1990 წ.) ჟურნალისტი მინც ერიდება ზედმეტ ემოციურობას და იმის აღნიშვნით იფარვლება, რომ ბალტიისპირეთში გამოთქამენ გულგატეხილობას დასავლეთის მიერ ლიტვის საკითხში დაკავებული პოზიციის გამო.

ერთგვლი საკითხი საბჭოთა კავშირში „ტაიმსისთვის“ პირველხარისხიან პრობლემას წარმოადგენს. ამი-

ტომაც 9 აპრილის წლისთავზე დასასწრებად თბილისში რედაქციის თანაშემრობელი მიავლინეს. კორესპონდენცია ძალიან დატვირთულია ფაქტებით და ხაზგასმით ნეიტრალურია. თუმცა შეიმჩნევა გარკვეულად თანამგრობით ემოციური დამოკიდებულება. მაგალითად, ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ დამტკიცდა რეპრესიების სისასტიკე, რის შედეგადაც გაზით მოწამლულ 3000 კაცს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უცხოურ გამოცემიდან მხოლოდ „ტაიმსმა“ აღნიშნა — გაზეთი წერს: მოსკოვმა ქარები გამოგზავნა ადგილობრივ კომუნისტ ხელმძღვანელთა თხოვნით მას შემდეგ, რაც სხვათირად ვერ შეძლოთ თავი გაერთვა შექმნილი მდგომარეობისთვის.

საბჭოთა კავშირის პრობლემებისადმი მიძღვნილი ჩემის შერის დიდი

მარეობა ე. წ. სამხრეთ ოსეთში არც ისე ცუდია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეგნოთ. მაგრამ მას არათულებს საბჭოთა კავშირში შექმნილი ისტერიული ვითარება. საქართველოში სეპარატიზმის საშიშროება მას არც ისე მნიშვნელოვნად ეჩვენება. მისივე აზრით, ე. წ. სამხრეთ ოსეთი შეუძლებელია გამოეყოს იმ-იტომაც, რომ ეს ქართული მიწაა, ხოლო ოსები აქ მოსულნი არიან (მგერამ აქვე დავმატა, რომ ამის აქცენტირება არაა საჭირო, რადგან ძაბავს სიტუაციას). უკანასკნელ დღეებში, მისი თქმით, ვითარების დაძაბვა გამოწვეული იყო ოსი ექსტრემისტების მოჭებულებით. მანვე აღიარა, რომ მხოლოდ ერთი ოსი გარდა, ამ ერთგვანად სხვა წარმომადგენლები მასთან საუბარში მხარს უჭერდნენ ახალ ხელისუფლებას და გამოხდნენ საბჭოთა ქარების მოჭმედას.

შპმე კარგად ვიცნობ ლივენიის მტკიცე და შეუვალ ხასიათს და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: მის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები არაა მასპინძელთა მიმართ გაკეთებული რევერანსები (სხვათა შორის, მის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ინგლისიდან წამოღებული საქართველოს ისტორიის წიგნებიც, რომლებსაც მისი თქმით სამშობლოშივე ეცნობოდა).

მაგრამ ისიც აშკარაა, რაც ლივენი-მა ინტერვიუში ასე ნათლად გამოხატა და საკუთარი პოზიციაც გამოაშკარავა, თავის რედაქციაში გაგზავნილ მასალებში, ალბათ, ასე უშუალოდ არ გაამჟღავნებს; რადგან შესაძლებელია ეს მიერძობებში ჩაეთვალოს.

ზშირ შემთხვევაში დასავლეთის გაზეთების რედაქციები უცხოეთში წარგზავნილ ჟურნალისტს არ თხოვენ საკუთარი პოზიციის, შეხედულების აშკარად გამოქვანებას. მათთვის ასეთ შემთხვევაში მთავარია, რომ ჟურნალისტიმ დაიცავს თანაფარდობა ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციის ასახვისას, თანაბრად აჩვენოს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები (ხშირად ამ უკანასკნელს ეთმობა მეტი ყურადღება, რადგან ითვლება, რომ უფრო აღძრავს მკითხველის ინტერესს). ზოგჯერ უცხოელი ჟურნალისტები ხელოვნურად აძლიერებენ პოზიტიურ ან ნეგატიურ მომენტს, რათა ამით უზრუნველყონ მათ შორის გარკვეული თანაფარდობა და ამით აჩვენონ თავისი ნეიტრალური მიდგომა, რაც ითვლება მთავარ კრიტერიუმად ფაქტების შერჩევისა და მიწოდების დროს.

ჟურნალისტების მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ მასალებს ანალიზს ძირითადად უკეთებენ სპეციალურად მოწვეული ექსპერტები. „ტაიმსსაც“ ჰყავს ასეთი ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, ცნობილი სოვეტოლოგი, ისტორიკოსი, ანატოლ ლივენიის უფროსი ძმა დომინიკო. გვიდა წარმოგვიდგინოთ მისი სტატია, სადაც აშკარად ჩანს მისი სალი აზროვნება. საგარაუდოა, რომ გარკვეული გავლენა მის შეხედულებებზე იქონია ანატოლ ლივენიც. ყოფილი ლივენი წერს: (21 დეკა 1990): „შესაძლებელია ომის შემდეგ ყველაზე ცივილიზებულმა საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი დრამატულად გადაღმული ნაბიჯით მოახერხოს გორბაჩოვის დაშინება და გამოფხიზლება, რომელიც თავადვე წამოწყებული რეფორმების მთელ მანძილზე ამჟამად წააწყდა ყველაზე მწვავე კრიზისს. ეს კი მოხდა მაშინ, აღნიშნავს ლივენი, როცა დაიწყო ევროპის ბოლო დიდი იმპერიის გადამწყვეტი რღვევის პროცესი. ლივენი შემდეგ განაგრძობს: გორბაჩოვის უკანასკნელი გამოსვლების ტონი იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ამ პროცე-

სის შეჩერებისთვის მან შესაძლოა რეპრესიებს მიმართოს. ამ კონტექსტში ლივენი აფიქსირებს ჩინეთის ტრანზიციის მოვლენის და პოლონეთში 1981 წ. სამხედრო წესების შემოღების ვითარება. მაგრამ ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირი არაა ერთი სახელმწიფო, ესაა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა იმპერიული კონფლომერატი, ხაზს უსვამს ავტორი.

რქმრსიების ვანზორციელების შემთხვევაში რეაქციულ ძალებს დასპირდება ზოგიერთ რესპუბლიკებში კანონიერად არჩეული მთავრობების ჩამოგდება, ამ მათთვის გვერდის ავლია, რაც ლივენი აზრით, არ იქნება ადვილი საქმე და ასეთი რეპრესიები იმპერიის დაშლის უფრო დაჩქარებს. რითი ასაბუთებს ამას ლივენი? მისი აზრით, საბჭოთა კავშირში ოპოზიციის კარგად არის ორგანიზებული, ამასთან რეაქციონერებს არ აქვთ გარანტირებული საშუალო რანგის, ან თადარიგის ოფიცერთა მხარდაჭერა, რაც უფრო აშკარად გამოჩნდება რუსეთში ინტელ მოსახლეობასთან ქუჩებში შესაძლებელი შეტაკებების პირობებში.

გორბაჩოვის აზროვნება რჩება იმპერიული და სოციალისტური, ამიტომ საჭიროა მხარდაჭერა ელცინისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის საფუძველზე სურს ჩამოაყალიბოს ახალი, ნებაყოფლობითი კონფედერაცია, რომელშიც, რაც მთავარია, შევლენ მხოლოდ ისინი, ვისაც ექნება ამის გაკეთების სურვილი, — აკეთებს დასკვნას მიმომხილველი.

მკითხველს რომ არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ესაა ცალკეული სპეციალისტის აზრი, გთავაზობთ „ტაიმსის“ (20 დეკა 1990) პოლიტიკური პოზიციის გამოხატველ სარედაქციო წერილს, სადაც აღნიშნულია, რომ მსოფლიო უნდა შეიგნოს ამჟამინდელი ფორმით ანტიკომუნისტური უაზრობა. მოსკოვისადმი ეკონომიკური დახმარება დასავლეთის პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტად უნდა იქცეოს. თუმცა დასავლეთი ვერ აიძულებს კრემლს მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები, მაგრამ უნდა მიიანიშნოს პოლიტიკური სადავების გაშვებისა და საბაზრო ეკონომიკური თავისუფლებების შორის მჭიდრო კავშირზე. ანტომ თავისი დახმარება დასავლეთმა უნდა შეუფარდოს, საბჭოთა კავშირის გვემდინარე დაშლისათვის.

როგორც აშკარად ჩანს, სარედაქციო სტატიაში გამოთქმულია მნიშვნელოვანი დასკვნები, მაგრამ არის რამდენიმე უზუსტობა, რომლის შესახებაც უკვე ვაცნობთ ბატონ ანატოლ ლივენი და ვთხოვთ ამის შესახებ მოეხსენებინა თავისი რედაქციისათვის.

გაზეთი მართებულად წერს, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი ვერ ასახავს პოლიტიკურ რეალობას და ბალტიის ქვეყნებს აქვთ პრუსული უფლება უარყოფი იგი, ვინაიდან მათი შეყვანა საბჭოთა კავშირში არაკანონიერ საფუძველზე მოხდა. (აქ ყველაფერი სწორია, მაგრამ ამ კონტექსტში საქართველოც უნდა ყოფილიყო მოხსენიებული).

საქართველო მოხსენიებულია მოლდავეთთან ერთად, ისიც მცდარ კონტექსტში. გაზეთი აღნიშნავს: საქართველო და მოლდავეთი განაწყენებული არიან კრემლზე იმის გამო, რომ მან არ უზრუნველყო მათდამი დახმარება უმცირესობათა სეპარატიზმის ჩახშობის საქმეში.

ამჟამად მიმდინარეობს პროცესი მსოფლიო გლობალურ იდეოლოგიურ კონცეფციათა გადასინჯვისა, ძველის და ახლის ბრძოლის კულმინაციის დასაწყისი, რაც დიდ ინფორმირებულობასა და კომპეტენციას მოითხოვს. ასეთ სიტუაციაში არასწორად გამოიზოლია სიტყვას ზიანის მოტანა შეუძლია. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი საქმე ეხება ცნობილ პიროვნებას, მაგალითად საზღვარგარეთულ ზელოვანთა წრეებში მიღებულ ჩვენს თანამემამულეს, რომელსაც ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენთვის უკვე ცნობილი „ტაიმსმა“. სხვათა შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბალტიისპირეთისა, და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის ინტერესების სხვებთან შედარებით უფრო კარგად გამგებმა და მათი განცდების გულთან ახლოს მიმტანმა, მოსკოვისადმი კრიტიკულად განწყობილმა გამოცემამ. ჩანს, აღნი-

პრობლემა

თავისუფალი და აყვავებული საქართველოს ხელვა დღეს ყველა ქართველის ოცნებად გადაიქცა. ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოს პოლიტიკურად დამონებული და ეკონომიკურად განაჩაგებული ქვეყნის ჩაბარება ხელა წილად. ისიც ვიცით, რომ შეიძლება ძალიან გავიჭიროდეს და მინც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების არსი თავისუფლების მოლოდინია. ზოგი ოპტიმისმით, ზოგი კი გაუცნობიერებელი შიშით ველოდებით თუ როგორ იქნება კომუნისტების მიერ გაპარტახებული ქვეყანა თავისუფლების ფაშს. როგორ უნდა დავაღწიოთ თავი კრიზისს, როგორ უნდა გამოვიყენოთ გარდამავალი პერიოდი, რათა საქართველო მომავალში შეიქცეოს თავისუფლებას, რით შევძლებოდა დავეხმაროთ ჩვენს ქვეყნებს, როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ — აი ის კითხვები, რომელთა თითქმის ყველა ქართველს ალღევს და ღვს.

რა გველის, როგორ იქნება ჩვენი ცხოვრება მომავალში? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი კორესპონდენტმა ნანა დოლიძემ უზენაეს საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ბიძი ტაბატიანიშვილს და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ბარიელ გელანტიას.



ნანა დოლიძე

გამოვიყენოთ. მე კატეგორიული წინააღმდეგ ვარ იმ დებულებებისადმი, რომ უცხოური კაპიტალის შემოსვლის შემთხვევაში, კაბალაში აღმოვჩნდებით. სამხრეთ კორეა უცხოური კაპიტალით აღორძინდა და მას არ დაუტარავს საკუთარი ეროვნული სახე, იაპონიის და გერმანიის აღორძინებასაც ამერიკის კაპიტალმა შეუწყო ხელი. კაპიტალი უნდა შემოვიშვათ და ჩვენი საგადასახადო პოლიტიკით უნდა ვმართოთ მისი შემოტანის პროცესი. ჩვენი უსაძლებლობებით ვერ მივალწვეთ მოწინავე ქვეყნების დონეს. გარდა ამისა, კაპიტალს მოჰყვება თავისი ტექნოლოგია, სპეციალისტები, რომლებიც ჩვენი მუშებს ასწავლიან მუშაობას, დისციპლინას, თუმცა თურქეთმა მარტო კაპიტალითაც ვერ ასწია ეკონომიკური დონე, მან თავისი მუშები გერმანიაში გაუშვა, იქიდან ისინი კვალიფიცირებული ბრუნდებოდნენ. აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ, სად შემოვიშვათ უცხოური კაპიტალი და სად არა. სადაც ჩვენზე მივხედავთ უნდა საქმის, იქ ამის აუცილებლობა არ იქნება, მაგრამ სადაც ვერ გავწვდებით, იქ რა თქმა უნდა, უნდა შემოვიშვათ. თუმცა, სადაც პრობორიტეტი გვექნება, იქაც შეიძლება გარკვეული დონით დაიშვას უცხოური კაპიტალი, რა თქმა უნდა, მოლაპარაკების საფუძველზე. ამ კაპიტალის მოძრაობა საქართველოში ჩვენ უნდა ვარეგულიროთ.

მე კატეგორიული წინააღმდეგ ვარ თავისუფალი ზონებისა. საქართველოში არ შეიძლება რომელიმე რეგიონში „ბატონობის“ უცხოური კაპიტალი, სხვა რეგიონში კი ჩამორჩენილი იყოს. ეს გამოიწვევს მოსახლეობის მუტაციას, სპეკულაციას და სხვა უარყოფით მოვლენებს. საქართველო მთლიანად უნდა იყოს თავისუფალი ზონა და როგორც ვთქვით, თავად უნდა ვარეგულიროთ კაპიტალის შემოსვლის პროცესი. ეს დაგვიხმარება, რაც შეიძლება მალე გამოვიდეთ ამკამდნელი კრიზისიდან. ცხადია, მარტო უცხოური კაპიტალი იმედზე ვერ ვიქნებით, ჩვენ თვითონაც უნდა ვიმოქმედოთ. უნდა დაჩქარდეს პრივატიზაციის პროცესი. ადამიანს შრომა უნდა აღწავლობდეს ისე, რომ მას ცხოვრება არ გაუჭირდეს, მაშინ იგი დაინტერესებული იქნება, რომ კარგად იშრომოს. საერთო-სახალხო საკუთრება არაგის ეკუთვნის. მინდა მოვიფიქრო „კომუნისტის“ ერთი პუბლიკაცია — პოლიტიკურის ერთ-ერთ სხდომაზე ბრეჟნევის ურჩიეს ხელფასები გაზარდოთ. მან უპასუხა, მე ქარხანაში ვმუშაობდი, იქ ყველა იპარავს და არ არის საჭირო ხელფასების გაზრდა. ადამიანი იპარავს იმიტომ, რომ სახალხო საკუთრების პირობებში ხელფასი არ ჰყოფნის. კერძო საკუთრების დროს მისაკუთრებელი დაინტერესებულია, რომ მუშა, ან არაგის სპეციალისტი არ გაეჭყოს, ამიტომ იგი კარგადაც უნაზღაურებს მათ შრომას. ახლა ქარხნის დირექტორები ჩივიან, მუშები კომპარტივეში გაბრუნდნენ. ეს ბუნებრივია, იქ ხომ ანაზღაურება მეტია. არის სხვადასხვა მექანიზმი, რომლითაც ხელფასების ჰიჯი აიწვევა. რეფორმების კომისია მუშაობს ამ საკითხზე. ერთი რამეა გულდასაწყვეტი — ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი, ჩვენ კი ძალიან ცოტა დრო გვჩრება. ხალხი, რომელმაც ჩვენ აგვირჩია, კონკრეტული საჩივრებით მოდის და დიდი დრო გვეხარება. ფაქტობრივად, შაბათ-კვირას და საღამო ხანს ვმუშაობთ.

ხშირია ლაპარაკი იმაზე, რომ პრი-

ვატიზაციის დაწყების შემთხვევაში ყველაფერს ისინი შეისყიდონ, ვის ხელშიც დღეს რეალურად არის დაგროვილი კაპიტალი — მექრთამეები და ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, ხალხი კი ისევ კაბალაში აღმოჩნდება. კონკურენცია გამოდგენის და გააქოტრება ყველას, ვინც საქმიან არის ძლიერი. ვინც ქრთამით არის გამდიდრებული, ის ვაჭორდება. ბევრია ისეთი ადამიანიც, ვისთვისაც ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკაში ყოფნა და კორუფცია აუცილებელი მოთხოვნაა და კი არ არის, არამედ იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში კარგად ცხოვრების საშუალება იყო. ისინი არც თავის ქვეყანას ემსახურებოდნენ და არც ყოფილ ხელისუფლებას, ვინაიდან ხვდებოდნენ, რომ მათი ნიჭისა და უნარის პატრონებს მეტი უნდა ჰქონ-

დაეწინაურებინათ. ისინი, ბუნებრივად, მომავალში მატერიალურად ძალიან კარგად იცხოვრებენ. ახლა ამ ხალხს აქვს სასურებელი, რომელიც, დამალულია, ჩვენ ეს სასურებელი უნდა ჩავაბათ ბრუნვაში და გამოვიყენოთ ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისათვის. ისინი უნდა მოვატაროთ სახით ჩვენი ეკონომიკისკენ.

საჭიროდ მიმაჩნია ტელევიზიამ აჩვენოს, როგორ ცხოვრობენ დასავლეთში. „მოამბეში“ 3-5 წუთი დაეთმოს სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტური წარმოების თემას. აჩვენონ უმუშევრებიც. შეიძლება იმის გარკვევაც, ვინ და რატომ არის უმუშევარი. იქ ყველა იმიტომ კი არ არის უმუშევარი, რომ სამუშაო არ არის, არამედ არიან ახალგაზრდები, რომელთაც მხოლოდ თავიანთი პროფილით უნდათ მუშაობა, არიან ისეთებიც, რომელთაც დროსტარება ურჩევნიათ მუშაობას. ისინი უმუშევრები არიან რეგისტრირებული, სინამდვილეში კი დროებით სამუშაოს ნახულობენ და შემოსავლიც აქვთ.

უნდა დავიწყეთ პრივატიზაცია. იმათაც კი, ვისაც არა აქვს საშუალება და აქვს სურვილი შეიძინოს წარმოება ან მაღაზია, სახელმწიფო მისცემს გრძელვადიან სესხს. ოღონდ შემდეგ თავად უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის საქმეზე. სახელმწიფო არ ივალდებულებს მის მომარაგებას, ყველაფერი იქნება დამოკიდებული მოსავე იქნება და უნარზე. უმუშევრობა, რა თქმა უნდა, არ ჩავლის ეს პროცესი, მაგრამ უნდა გვცადოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს კოლონიები. სახელმწიფო შეიძლება შექმნას გარანტიების სისტემა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გარანტიებით შეიძლება მუდმივად ყოფიან. გარანტიები იქნება გარკვეული პერიოდის მანძილზე. სახელმწიფო ადამიანს დაეხმარება სამსახურის შოვნაში. თუ მოქალაქე ამ სამსახურზე უარს იტყვის, დასმარება შეუძლებელია, იმის იმედი არავის ჰქონდეს, რომ სახელმწიფო შეინახავს. ყველა ამ თავისი თავი ვითვით უნდა არჩინოს. რაც მალე გადავალოთ ასეთი ცხოვრებაზე, მით უფრო მალე გადავსაბავთ დაბრკოლებებს, თუ ვაპიანურებთ, ე. წ. ჩრდილოვანი კაპიტალი უფრო ჩრდილში წაგა, უცხოური კაპიტალი დაინახავს, რომ ჩვენ არ გვირბა მისი შემოსვლა, ისიც თავს შეიკავებს შემოსვლაზე და იც პროცესი ხელგაწურად გაიწელება. ამავე დროს, ჩვენ არა გვაქვს საშუალება საკუთარი სახსრებით ვეწიოთ. ჩვენი ეკონომიკის დონე.

სახელმწიფო ბიუჯეტს ძალიან უჭირს და ამიტომ დღესდღეობით ფასების დაკლება ძნელია, მაგრამ მალე ფასებზე უნდა დაიწყოთ, ოღონდ არ შეიძლება პროდუქცია იმაზე ნაკლები ღირდოს, რაც მეწარმეს დაუფლავს. ის აღარ იქნება დაინტერესებული პროდუქციის შექმნით. ხორცია მეწარმეებს მთელს კავშირში ინტერესი დაეკარგება, ვინაიდან ვერ დაფარავს დაზარალებულ თანხას. ამ ფასთა სხვაობით კი მაქინატორები სარგებლობენ. ბაზარი უნდა არეგულირებდეს ფასს. ფართო მოხმარება და კვირის პროდუქტებზე სახელმწიფო ფასი იქნება დაწესებული გარდაშვალ პერიოდში. შემდეგ კი უნდა შეიზღუდოს იმ საქონლის წარმოება, რომელიც უფრო დააფასებს ფასს.

რაც უფრო სწრაფად შექმნით საბაზრო ეკონომიკისთვის გამოსადეგ სტრუქტურებს, უფრო ადვილად დავანერგვთ იმ ადამიანთა ციფრულ სტრუქტურებს, რომლებიც ახლა გვაქვს. მაგალითად, რაც უფრო მა-

ლი შევქმნით სასაქონლო ცენტრებს, უფრო უმტკივნეულოდ გადავალოთ ადამიანთა ციფრული განაწილების წესებიდან, მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაზე. ტექნიკური მომარაგების კომიტეტი, რომელიც ზევიდან ანაწილებს ყველაფერს, აღარ დაგვიჩრდება. მაგრამ ეს კომიტეტი რომ ახლავს გავაუქმოს, შემცველი არ გვაქვს. სასაქონლო ბირჟების შექმნას ჩვენს მოთხოვნაზე უნდა შევწყოს ხელი, სინამდვილეში კავშირები, დარეგულირება საქონლის გატანა-შემოტანის, ყიდვა-გაყიდვის პროცესები და ყველაფერი ბუნებრივ კალაპოტში ჩაედება.

ეს აღორძინების პროცესი საქართველოში შეიძლება ძალიან სწრაფად მოვახდინოთ.

1944 წელს ტიანჯზე არც ერთი ნაგებობა არ იყო, უკანასკნელი 5-7

წინ თავისუფლება

ეკონომიკა

წელიწადში კი დიდ წარმატებებს მიიღწეო. საქართველოს ისეთი გეოგრაფიულ-სტრატეგიული ადგილი უკავია, რომ აქედან ეკონომიკური თავსაზრისიაც კი დიდი შემოსავალი გვექნება. ისეთ წერტილში ვიმყოფებით, რომ ტრანზიტული გადაზიდვებისთვისაც შევძლებოდა ძალიან დიდი როლი ვითამაშოთ.

უცხოური კაპიტალის შემოსვლა იმითაც არის მომგებიანი, რომ ხელს შეგვიწყობს, რათა საქართველო გავიღვს საერთაშორისო სარბიულზე. როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა აქ ისეთი ფორმების წარმომადგენლები მოდიან, რომელთაც საერთაშორისო ეკონომიკურ სფეროში ძალიან მაღალი რეიტინგი აქვთ. მათ უკან დღეს დიდი სახელმწიფოები, რომლებიც მათ იცავენ და ხელს უწყობენ ეს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.



ბატონ ბარიელ გელანტიას კი მიანიხნია: ეკონომიკური დაქვეითების პროცესის შეჩერება შეუძლებელია მანამ, სანამ უზენაესი ხელისუფლება თავიდან ბოლომდე არ აიღებს ხელს სახელმწიფო პარტიის სადავებზე. სინამდვილეში ადვოკატობაზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები და სანამ არ დამთავრდება კარგების დაკომპლექტება.

მაიისთვის სიტუაციებს ასე თუ ისე უნდა დავეუფლოთ და ამა წლის მეორე ნახევრით ადამიანობის პროცესიც უნდა დაიწყოს, — აღნიშნა მან — იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც წინამორბედმა ანტიქართულმა და ანტიხალხურმა ხელისუფლებამ დაგვტოვა, ბუნებრივია, დიდი დრო სჭირდება, მაგრამ პირველმა შედეგებმა მალე უნდა იჩინოს თავი. ჩვენთან წესრიგს ელოდებიან საზოგადოება და ყოველდღიური დონე უნდა ვინმართ, რათა ის მინიმალურიც, რაც გვაქვს, წესიერად მივიღვს მომხმარებლად. ამისათვის საგარეო ოლქებისთვის გატარება მოგვიწევს. მერი და მერე მუშახელს ხელფასი გაუზარდა, გლეხს მიწა მიეცა, ფსევდო-საზოგადოებრივი ფორმებით აღარ იქნება შეზღუდული, გამოჩნდება ნამდვილი პერსონაჟი საზოგადოების ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილებას. ჩემი აზრით, 2-3 წელიწადი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენ შევძლებდეთ ასე სიტუაცია შევქმნათ და ვიფიქროთ ქვეყნისთვის დამოუკიდებელ საქართველოზე. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვირუგებთ მოვიქცევით ჩვენ და რაოდენ ხელსაყრელი საგარეო პირობები გვექნება.

ასე რომ, იმედით ვუყურებთ მომავალს, მაგრამ ეს იმედი არის არა ეიფორიული, არამედ სერიოზულ განსჯას და რეალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესების გათვალისწინებით. უნდა ვიციტოროთ თამამად, წინ თავისუფლება.

გამოსავალი რედაქციული

საქართველოს

- რაში მდგომარეობს სადაზღვევო მედიცინის ძირითადი არხი?
1. ყველა მუშა მოხარბაზურე იხდის მიზნობრივ თანხას სამედიცინო მომსახურებაზე თავისი ხელფასიდან (ნაცვლად არამიზნობრივი გადასახადისაგან, რომლის დიდი ნაწილი დღესდღეობით მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო დარჩენილი ნაწილი ხელფასის სახით ეძლევა მედიცინის მუშაკებს).
 2. იქმნება ჯანდაცვის სადაზღვევო ფონდი (სახიუჯეტო დაფინანსებით), რომლის სახსრებიც ზმარდება მოსახლეობის იმ კატეგორიას, ვინც ცერ იხდის მიზნობრივ გადასახადს (ინვალიდები, პენსიონერები, მოსწავლეები, ჩვილი ბავშვები და სხვ.)
 3. იარსებებს კერძო დაზღვევა, როდესაც მსურველს შეეძლება გადახადოს დამატებითი თანხა (მიზნობრივი დაზღვევის პარალელურად).
 4. იქმნება ჯანდაცვის ფონდები, რომლებიც იარსებებს შემოწირულობებით.

სხვადასხვა ქვეყანაში სადაზღვევო მედიცინის სხვადასხვა მოდელია შექმნილი. რა პერსპექტივა აქვს ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკას?

საქართველოში ჯანდაცვის საქმე რომ სავალალო მდგომარეობაშია ეს არავისთვის ახალი ამბავი არ არის. სულ მალე რომ კატასტროფის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ, ესეც ბევრს ემსის, ალბათ ამიტომაც არის ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის ლაპარაკი ჯანდაცვის დარგში რადიკალური ზომების გატარების შესახებ, სადაზღვევო მედიცინის შემოღებაზე და ა. შ. ამის საწინააღმდეგო ვის შეიძლება რაიმე ჰქონდეს, მაგრამ საკვირველია ის ფაქტი, რომ ეს წინადადებები და ლოზუნგები ძირითადად იმათგან ისმის, ვის ხელშია ათწლეულების მანძილზე იყო ამ დარგის სადაზღვევო და ამისათვის არათუ არ ზრუნავდნენ, არამედ მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს ისეთი მანკიერი წრის შექმნას, რომლის გაწყვეტაც დღევანდელ პირობებში (მხედველობაში მაქვს ეკონომიკის არახალისი დაკნინება, კორუფცია, სოციალისტური სისტემის ხანგრძლივი ზემოქმედების გამო ხალხის ფსიქიკის ცვლილება) ძალიან ძნელია. ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი და ვიყოთ გულახდილი, არც ისე ადვილი, როგორც ამას ზოგიერთები გვიხატავენ. მაინც ამბობენ: საბაზრო ეკონომიკაზე გადავალთ და ყველაფერს მოველემა-ო, რადგან მთელი მსოფლიო ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს-ო. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მთელი მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაზე მიდიოდა ისტორიული კანონზომიერების განვითარების გზით, ჩვენ კი ნებისთუ უნებლიედ სამოცდაათი წელიწადი მხოლოდ იმას ვაკეთებდით, რომ მთელ მსოფლიოს ვუმტკიცებდით: უკანონოდ ცხოვრება ყველაზე დიდი კანონზომიერება არისო. ათწლეულების მანძილზე ასეთი „პრინციპებით“ ცხოვრებამ ის მოგვიტანა, რომ ძალიან ბევრი კარგი წამოწყებაც კი სოცარ მანქან ფორმებს იღებდა და ვერ ამართლებდა პირვანდელ ჩანაფიქრს. ალბათ ამიტომაც სხვა ყველაფერთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიფიქროთ ხალხის ცნობიერების შეცვლაზე და აქედან გამომდინარე შექმნათ სწორი აზროვნების ბაზისი, რაც აუცილებელი პირობაა ყოველი საქმის დაწყებისათვის და ძირეული გარდაქმნისათვის.

ჩვენ გამოვაცხადეთ გარდამავალი პერიოდი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე, ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენთანგანმა უნდა შეიგნოს: დადგა დრო, როდესაც ყველამ თავისი წილი შე-

საწირო უნდა გაილოს იმისათვის, რომ გაკეთდეს საერთო საქმე. ყოველივე ეს ზემოთქმული პირდაპირ კავშირშია იმ პრობლემებთან, რომელიც დღეს ჯანდაცვის წინაშე დგას.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, თუკი, თითოეული ჩვენთავანი არ გაიღებს სახსრებს, რომელიც საჭირო იქნება ისევე და ისევე ჩვენი ჯანმრთელობისათვის, რასაც საბოლოო ჯამში ერის ფიზიკური და მორალური ჯანმრთელობა ჰქვია.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, თუკი თითოეული წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი ვერ მიხვდება, რომ მისთან ერთად შოშხუშე ყოველი ადამიანის ჯანმრთელობა საწარმოს წარმატების საწინდარია და ამისათვის მან ყველაფერი უნდა გააკეთოს.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, თუ მედიცინის მუშაკებმა და პაციენტებმა არ ისწავლეს ურთიერთობისათვის, ხოლო ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი შრომა ანაზღაურდება არა დაბაძვირებული ანტი-მიცემობით, არამედ მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში დღესდღეობით ფორმით და წესით.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, სანამ ჩვენს შეგნებაში შეიძლება არსებობდეს ცული, საშუალო და კარგი ექიმი. ამას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ექიმი იქნება პროფესიონალი, მხოლოდ კარგი და ზოგიერთი, ღვთის წყალობით, ბრწყინვალე. ამისათვის კი საჭირო იქნება რადიკალური შეიცვალოს ყველა დონის სამედიცინო კადრების მომზადების საკითხი.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, სანამ საავადმყოფოს ჰიერარქია და განყოფილების შესასვლელში მდგარი კარისკაცი ავადმყოფის მხანველებსაგან აღებული მანეთიანებით ვილაციის ჯიბეს გაასქლებს.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, სანამ სამედიცინო დაწესებულების რემონტი დამატურდება მხოლოდ კედლების შეღებვით, ხოლო რემონტისათვის გამოყოფილი თანხა და საშენი მასალები გაურკვეველი(?) მიმართულებით გაქრება.

ჩვენ ვერ გადავალთ სადაზღვევო მედიცინაზე, თუ ვერ მიხვდებით, რომ საქართველოს მინერალური წყლები სამკურნალო საშუალებაა და არა სუფრის მშვენიება.

თუ ძალიან მოკლედ იმის შესახებ თუ რა ფსიქოლოგიური ბარიერები დგას თითოეული ჩვენთავანის წინაშე, რომელთა გადაწყვეტის გარეშეც ყველა ქვეყნა ჯანდაცვის რეორგანიზაციისათვის იქნება მხოლოდ მორიგი დეკლარაცია რეფორმების გატარებისა და ჩანასახშივე გაუტეხავს სახელს ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. თუ ყველაფერ ამას მიიღებს და გაითავისებს ჩვენი საზოგადოება, მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელ ებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი დაქინებული ეკონომიის პირობებში სამედიცინო მომსახურების და ჯანდაცვის საქმის მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გაუმჯობესებას.

გიორგი ბეზარაშვილი,
საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის უმც. მეცნიერ თანამშრომელი.

პრობლემა

ადამიანი და მედიცინა

ჯანმრთელობის დაცვის ჩვენი დღევანდელი სისტემა რომ ღრმა კრიზისშია, ექვს არ უნდა იფიქვდეს. ძნელი არაა ამ კრიზისის მიზეზების პოვნა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ტრანსფორმაციას საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური წყობის ფორმა.

უკანასკნელ დრომდე არსებული იდეოლოგიური დოგმატიზმი სავსებით გამოიქცა და საბჭოთა ჯანდაცვის ორგანიზაციის რაიმე ალტერნატიული სახის არსებობასაც კი, დღემდე შემორჩენილი სოციალიზმის აპოლოგეტები კი სოციალიზმის ერთ-ერთ ძირითად მიღწევად უფასო მედიცინას ასახელებდნენ. ამ და სხვა „მიღწევების“ რეალური სახე ისტორიამ მთელი სიცხადითა და, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული დაგვანაბა. როგორც ანეროიკლები იტყვიან, „უფასო ყველი მხოლოდ სთავაგურში შეიძლება იყოს“.

გარდამავალი პერიოდისათვის გამოცხადებული საბჭოთა, სოციალისტური სტრუქტურების დემონტაჟი, ცხადია, ჯანმრთელობის დაცვისაც უნდა მოიცავდეს. უპირველესად გასარკვევია, თუ რა დაიკავებს ძველი სტრუქტურების ადგილი, ხოლო ეს თავის მხრივ დამოკიდებულია ჯანმრთელობის დაცვის ფინანსირების, სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების საკითხთან. ალბათ, როგორც იტყვიან საჭირო არ არის ველისიძის გამოგონება, საკმარისია აღვადგინოთ და დავამკვიდროთ ის პრინციპები, რომელთა შესაბამისად მოქმედი სამედიცინო მომსახურების სისტემა განვითარებულ ე. წ. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენთვის წარმოუდგენელ სიმადლეებზე ავიდა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფაქტობრივ უფასოობის პრინციპებზე უარის თქმა და იმის აღიარება — დაკანონება, რომ სამედიცინო დახმარება არის ყიდვა-გაყიდვის პროცესი, სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება ხდება მოსახლეობის მიერ, ხოლო ჯანმრთელობის შენარჩუნება ყოველი ადამიანის პირადი საქმეა.

ეს პრინციპები განსაკუთრებით გამოკვეთილი სახით მოქმედებს აშშ-ში, სადაც სამედიცინო დახმარების ხარჯების 80%-ს ფარავს მოსახლეობის პირდაპირი გადასახადები, თუმცა ცნება „პირდაპირი“ უფრო პირობითია,

დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნებში და რომელიც თავისი არსით, ალბათ, ყველაზე უფრო შეეფერება ჩვენს პირობებს, არის ე. წ. სადაზღვევო მედიცინა, რომელიც გულისხმობს ავადმყოფობის შემთხვევისათვის სავალდებულო დაზღვევას და ამ გზით სამედიცინო დახმარების ხარჯების კომპენსაციას, რაც ზღლისასწავლად ხდის სამედიცინო დახმარებას პრაქტიკულად ყველასათვის. ეს ფორ-

მისი წაგვიყვანს. მთავარია ის, რომ დაზღვეული უშუალოდ ანაზღაურებს საერთო ხარჯების არა უმეტეს 20-30%-ს. ამასთან ერთად არსებობს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც არ მონაწილეობენ ანაზღაურებაში, არსებობს განსაზღვრული დაავადებები, რომელთა მკურნალობისას ავადმყოფი თავისუფლდება გადასახადებისაგან, მოქმედებს გარკვეული შეღავათები უშუალოდ დაზღვევის პრო-

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სამოგავლო პერსპექტივები

